ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი №5

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლბის საზოგადოება
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სახე მისი მისიიდან გამომდინარე იქნება:

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დაწესებულების სურვილია განახორციელოს:

☐ პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ სხვა საგანმანათლებლო პროგრამა (მხოლოდ საზოგადოებრივი კოლეჯის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ნატო გაბოშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ქეთევან გარსევანიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: მარიამ ფიცხელაური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

____________

____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

## II. დაწესებულების მისია

საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის მისიაა თანამედროვე მეთოდების დანერგვით, მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებით, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სისტემის შექმნით მოამზადოს მუდმივად ცვალებადი თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროფესიული განათლების კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შეესაბამება თანამედროვე ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კოლეჯი განუხრელად იზრუნებს კურსდამთავრებულების კარიერის განვითარებაზე და დასაქმების ხელშეწყობაზე ; მაღალკვალიფიცირებული კადრების მოზიდვასა და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვაზე; საკუთარი პედაგოგიური პერსონალისა სხვა სტრუქტურების თანამშრომლების ცოდნის განახლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

## I. სტანდარტები

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**შეფასება:**

*შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის" მიერ ავტორიზაციის მიზნებისათვის წარმოდგენილი აქვს ოთხი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, კერძოდ :* ბუღალტერი-მესამე საფეხური, ექთნის თანაშემწე - მესამე საფეხური, ფარმაცევტის თანაშემწე-მეხუთე, მასაჟისტი - მესამე საფეხური და ერთი, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: *ოფისის მენეჯერი* - მეოთხე საფეხური.

*პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურა, რომელიც დაცულია და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების, ასევე სწავლების მიდგომის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დასაბუთების აუცილებლობას.*

*ოთხი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის მიერ მცირე ცვლილებით (პირველადი დამტკიცება განხორციელდა დირექტორის მიერ ბრძანება N01/17, 10.05.2017., ცვლილება - ბრძანება N01/20, 31.07.2017) და ერთი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ოფისის მენეჯერი - ბრძანება N01/19, 12.05.2017.*

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თითოეულ საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება; პროფესიული განათლების საფეხური; მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამისმოცულობა კრედიტებსა და საათებში; პროგრამის ხანგრძლივობა; პროგრამაზე მიღების წინაპირობა; სფეროს აღწერა; პროფესიული პროგრამის მიზანი; სწავლის შედეგი; სწავლის შედეგების რუქა; სასწავლო გეგმა; პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა); პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება; სწავლის მეთოდები; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ. პროგრამებს თან ერთვის სასწავლო კურსების სილაბუსები. სილაბუსებში მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, მოცულობა, სწავლის შედეგი, კურსის შინაარსი, პროფესიული სტუდენტის შეფასება, სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

----------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

კურსის წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სავალდებულო/დამხმარე ლიტერატურა, ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა ოფისის მენეჯერი შედგება ზოგადი სავალდებულო-სულ 52 კრედიტი, პროფესიული სავალდებულო 74 კრედიტი და არჩევითი მოდულებისგან. არჩევითი მოდულების მოცულობათა ჯამი ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად 20 კრედიტის ტოლია. პროგრამას თან ერთვის კვირების მიხედვით გაწერილი სასწავლო გეგმა, მოდულები და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ.

პროგრამები შედგენილია საქართველოსგანათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის№121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესაბამისად.

საწარმოო პრაქტიკს კომპონენტის განხორციელებისთვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ვადიანი ხელშეკრულებები/მემორანდუმები:

- *შპს ზუგდიდის N2 აფთიაქი - ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი N 39 - შვიდი წელი (03.05.2017);*
- *შპს ხარიტონ ჯანაშიას სახელობის N 1 აფთიაქი-ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89 - შვიდი წელი (27.04.2017);*
- [redacted] *- ზუგდიდი, კოსტავას ქ N 50 - შვიდი წელი (03.05.2017);*
- [redacted]*დიდი - შვიდი წელი (20.06.2017);*
- *შპს ზუგდიდის ინფექციური სავადმყოფო - ზუგდიდი, სოფ ონარია - შვიდი წელი (28.04.2017);*
- *სამედიცინო ცენტრი შპს ნლი - ზუგდიდი,შ.კიტიას N 21 - შვიდი წელი (01.05.2017);*
- *შპს ტერმინალ-თან არსებული ამბულატორია სანუსი - შვიდი წელი (31.07.2017);*
- *შპს ზუგდიდის ბავშვთა პოლიკლინიკა, ზუგდიდი, კოსტავას 5 - შვიდი წელი (05.07.2017);*
- *შპს ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკა - ზუგდიდი, გამსახურდიას პირველი შესახვევი N 2 - შვიდი წელი (05.07.2017);*
- *შპს ზუგდიდის ჯანმრთელ და ინვალიდ ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი - ზუგდიდი, მარცხენა სანაპიროს ქ N 3 - შვიდი წელი (10.05.2017);*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- *ა(ა)იპ საუნჯე- ზუგდიდი,რუსთაველის N 52 I სართული - შვიდი წელი (28.04.2017);*
- *შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ცხუმ ეგრისი'' კოსტავას N 32 - შვიდი წელი (28.04.2017);*
- *შპს აუდიტორიული ფირმა ლაზიკა აუდიტი -ზუგდიდი ,რუსთაველის ქ N 94 - შვიდი წელი (28.04.2017);*
- *შპს ბესთ-ნათ - ზუგდიდი, ხუბულავას 21 - შვიდი წელი (11.07.2017).*

ხელშეკრულებების მოქმედების ვადა შეესაბამება პროგრამების ხანგრძლივობას. ხელშეკრულებებში მითითებულია კონკრეტული პროგრამები და კონკრეტული მოდული, რომლის ფარგლებშიც იქნება გამოყენებული მოცემული პრაქტიკის ობიექტი.

ვიზიტის დროს განხორციელდა ექსპერტთა მიერ პრაქტიკის ობიექტების შერჩევითი დათვალიერება და პრაქტიკის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით გაირკვა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამები. პრაქტიკის ობიექტებს აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი და გამოყოფილია პრაქტიკის ხელმძღვანელი. ზეპირი გასაუბრებით გაირკვა, რომ პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში პრაქტიკის ობიექტზე, დამატებით, ჩართული იქნება პროფესიული განათლების მასწავლებელიც და კონსულტაციას გაუწევს პრაქტიკის ხელმძღვანელს მოდულური სწავლებისას შეფასების პრინციპებისა და თავისებურებების შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების გადამოწმების შედეგად ექსპერტებმა დააფიქსირეს შემდეგი:

მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **-ექთნის თანაშემწე** 090551

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულ სილაბუსში - პირველადი გადაუდებლი დახმარება. სტანდარტში მოცემულია ,რომ ექთნის თანაშემწეს შეუძლია" პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა"

პროგრამაში და სილაბუსში ფიგურირებს, როგორც პირველადი გადაუდებელი **სამედიცინო** დახმარება, რაც ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის საგანმანათლენლო სტანდარტს არ შეესაბამება. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გულისხმობს მედიკამენტოზურ მხარდაჭერას, რაც სასწავლო თემატიკაში და პროფესიული სტანდარტში არ არის ასახული. როგორც ინტერვიუირებით დაზუსტდა ადგილი ჰქონდა მხოლოდ ტერმინის ტექნიკურ უზუსტობას.

იმავე საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულ საგანში - ავადმოვლა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

სასწავლო კურსის შინაარსში მითითებულია მედიკამენტების პარენტერალური შეყვანის გზები, ინტრავენური, კანშიდა, კუნთშიდა ინექციების გაკეთების ტექნიკა.
ექთნის თანაშემწის პროფესიულ სტანდარტის მიხედვით, აღნიშნული პროცედურები ექთნის თანაშემწის კომპეტენციაში არ შედის. როგორც ინტერვიუირებით დაზუსტდა ამ შემთხვევაში ინვაზიური პროცედურების ჩატარება არ ფასდება, მას მხოლოდ გაცნობითი ხასიათი აქვს.

ვიზიტის დროს ასევე შესამლებელი გახდა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრება.
საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მოცემული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

| № | **პროგრამის დასახელება** | **პროფესიული განათლების საფეხური** | **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია** | **კრედიტების რაოდენობა** |
|---|---|---|---|---|
| *1* | ოფისის მენეჯერი | IV | ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 146 |
| *2* | ბუღალტერი | III | ბუღალტერ - მოანგარიშეს მესამე საფეხურის პროფესიული | **30** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | კვალიფიკაცია | |
| ***3*** | ექთნის თანაშემწე | III | ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | **90** |
| ***4*** | მასაჟისტი | III | მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | **60** |
| ***5*** | ფარმაცევტის თანაშემწე, | V | ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | **120** |

***სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:*** (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა)

| № | პროგრამის დასახელება | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | |

ექსპერტების რეკომენდაცია: სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები დაიხვეწოს და უფრო მრავალფეროვანი გახადონ . ასევე უზრუნველყონ ტრენინგების ჩატარება პედაგოგებისთვის: მოდულური პროგრამის დანერგვის და შეფასების მიმართულებით.

დასტურდება:

- კოლეჯის დებულებით
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით პროგრამების დამტკიცების შესახებ **(N1 10.05.2017)**
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით **N10** შპს საზოგადოებრივ კოლეჯში ზუგდიდის აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შეტანის შესახებ (06/08/2017);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებით და ინტერვიურებით მათ წარმომადგენლებთან.
- სტუდენტთა შეფასების რეგულაციით;
- ინტერვიურებით;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

<u>1.1. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

შეფასება:

დაწესებულებაში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, პროფესიული პროგრამების, პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, დასაქმების სფეროების, კრედიტებისა და შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------
---------------------
---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

წესის შესახებ. დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგის) ელექტრონული ვერსიაც, რომელიც კოლეჯის ვებგვერდზეა www.akademiazug.ge განთავსებული.

**1.2. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

დასტურდება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგით);
- ვებგვერდით -www.akademiazug.ge

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**შეფასება:**

პროფესიული საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და შესაბამის პროფესიულ სტანდარტებს: ფარმაცევტის თანაშემწე, ექთნის თანაშემწე, მასაჟისტი, ბუღალტერი (ბუღალტერ-მოანგარიშე).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს: ოფისის მენეჯერის მოდულური პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამებისათვის. მოდულში უფრო დეტალურადაა მოცემული სწავლის შედეგები.

დასტურდება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

- წარმოდგენილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შედარებით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტთან;
- წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით და სილაბუსებით;
- პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტით;
- ვებ–გვერდით www.akademiazug.ge

*1. 3. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესები. საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის დირექტორის 2017 წლის 11 მაისის N01/18 ბრძანებით *„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.*

დასტურდება:

- *დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებით N01/18 (11.05.2017) – „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.*
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.

*1. 4. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გაწერილია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის დირექტორის 2017 წლის 11 მაისის N01/18 ბრძანებით "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი". აღნიშნულ ბრძანების 4.8. პუნქტით: „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას" - არ არის მითითებული რა ღონისძიებებს გაატარებს კონკრეტულად. ექსპერტთა ვიზიტის დროს ადმინისტრაციას გაეწია რეკომენდაცია ამ კუთხით შეიმუშავოს ეფექტური შიდა მექანიზმები, რაც ასახულიც აქვს 6 წლიან გეგმაში. ამასთან დაკავშირებით კოლეჯის ადმინისტრაციამ წერილობითი სახით წარმოადგინა ახსნა განმარტება. დაწესებულებას გაფორმებული აქვს 6 წლის ვადით ხელშეკრულებები - პროფესიულ საწავლებელ „ცხუმ-ეგრისთან" (ხელშეკრულების ნომერი 10/14, 19.05.2017), რითაც განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფა ექთნის თანაშემწის, მასაჟისტის, ფარმაცევტის თანაშემწის, ბუღალტრის, ოფის -მენეჯერის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების ფარგლებში. ასევე, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საზოგადოებრივ კოლეჯ "კავკასიონ"-თან (ხელშეკრულება N10/15, 24.05.2017), თუმცა ამ უკანასკნელს - შპს საზოგადოებრივ კოლეჯის ზუგდიდის აკადემიის მიერ განაცხადის წარდგენიდან ექსპერტების ვიზიტამდე პერიოდში გაუუქმდა ავტორიზაცია.

**დასტურდება:**

- ბრძანებით "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (პუნქტი 4.8 და 4.9.);
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- დირექტორის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტება (დანართი 1)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

*1. 5. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

შეფასება:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის დირექტორის მიერ, 2017 წლის 21 აპრილის ბრძანებით N01/05 დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა".

*კოლეჯის საშტატო* განრიგით გათვალისწინებულია ხარისხის მართვის მენეჯერის შტატი, რომლის მოვალეობებია: ზრუნვა აკადემიის სასწავლი მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, ხარისხის სისტემატურ შეფასებასა და მის განვითარება–განახლებაზე; ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის მიღწევას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის, მათი მუშაობის სისტემატური შეფასებისა და უწყვეტი განვითარების გზით; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმას საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით; მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემის და კითხვარების ფორმების შემუშავებაში. კოორდინაციას უწევს გამოკითხვების ჩატარების გრაფიკს; პერიოდულად ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისათვის; შეიმუშავებს მექანიზმებს პროფესიული სტუდენტების მომსახურების ეფექტური სერვისების გაუმჯობესებისათვის და ახალი მიდგომების დანერგვისათვის;

უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვება-შესწავლა-კვლევა, განმავითარებელი საქმიანობის დაგეგმვა განხორციელებას; ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესს და ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

________________

________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

„საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემაში“ მუხლი 3-ით განსაზღვრულია ხარისხის შემოწმების - კითხვარების ფორმები: პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი, პროფესიული სტუდენტის კითხვარი, ადმინისტრაციის კითხვარი, კურსდამთავრებულთა კითხვარი, დამსაქმებლის კითხვარი.

**დასტურდება:**

- *დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებით N01/05 (21.04.2017) – „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემა“;*
- ხარისხის მართვის მენეჯერთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

*ქვესტანდარტი 1. 6. არ არის დარღვეული*

**2. მატერიალური რესურსი**

**2.1** დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

შეფასება:

დაწესებულების იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ზუგდიდი, შ. კიტიას ქ. N9.რომელიც განთავსებულია აღნიშნული მისამართის ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე, რაზეც გაფორმებული აქვს ქირავნობის ხელშეკრულება კერძო პირთან [redacted] 403.05 კვ.მ ფართზე. ხელშეკრულება გაფორმებულია 2017 წლის 20 აპრილს - 2024 წლამდე, შვიდი წლის ვადით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ. ზუგდიდი, შ. კიტიას ქ. N9 | 403,3 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | |

დასტურდება:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან , საკადასტრო კოდი [redacted]
- ქირავნობის ხელშეკრულებით;
- აზომვითი ნახაზით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.1. ა) <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

შეფასება:

დაწესებულების განკარგულებაშია სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორია, მოდულური პროგრამებისათვის განკუთვნილი A და B ტიპის გარემო, ასევე არის ადმინისტრაციისათვის და სასწავლო პროცესის მართვისათვის განკუთვნილი ოთახები. მოდულური და საგნობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი გარემო გამიჯნულია. დაწესებულებას აქვს 2 კომპიუტერული კლასი: აქედან 1 მოდულური სწავლებითვის, ხოლო 1 საგნობრივი პროგრამებით სწავლებისთვის. დაწესებულებაში არის სტუდენტებისთვის განკუთვნილი 115 ერთეული სკამი, 10 ერთადგილიანი და 40 ორადგილიანი, 10 -სამადგილიანი მაგიდა -სულ 120 სტუდენტისთვის. ერთი **A** გარემო გათვლილი 10 სტუდენტზე (ოფისის მენეჯერი.). სულ სასწავლო ოთახებს უჭირავს მთელი ფართიდან 284.4 კვ. მ.

**დასტურდება:**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საინვენტარიზაციო ჩამონათვალით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

----------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _______________

ბ.ა.

**2.1. ბ)** <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები-კი განათავსებულია შენობის პირველი სართულიდან გასასვლელ ეზოში, სულ 3 სანიტარული კვანძია: 1 მამაკაცებისთვის, 1 ქალებისთვის, 1 სსსმ პირთათვის. ხელსაბანი მოწყობილია ეზოში. დაწესებულების გათბობის საშუალებებს წარმოადგენს ელექტროღუმელები.

<u>*ექსპერტების რეკომენდაცია: სველი წერტილების შენობაში განთავსება, გათბობის სისტემის დამონტაჟება.*</u>

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიარებით;
- ელექტრო ენერგიის, წყლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით;

2.2. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

შეფასება:

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით N 01/05 21.04.2017 დამტკიცებულია დოკუმენტი „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი". კოლეჯის ბიბლიოთეკის ბეჭდურ მატარებლებზე არსებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

ფონდი შეადგენს 537 ერთეულს და 69 ელექტრონულ ერთეულს. მოდულებში და სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ზოგიერთი ნაბეჭდი სახით, ზოგი კი ელექტრონულად განთავსებული დისკზე.

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკაში არის გამოყოფილი სამკითხველო სივრცე 5 მაგიდით და 21 სკამით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია ერთი თეთრი დაფა, ერთი კომპიუტერი, პრინტერი, რომელიც მუშა მდგომარეობაში მოვიდა ექსპერტთა ვიზიტის განხორციელების პერიოდში.

*ექსპერტების რეკომენდაცია: სასურველია ყველა სახელმძღვანელო იყოს , თუნდაც ჩამოტვირთული და დისკზე განთავსებული, შესაბამისად ვიზიტის პერიოდშივე მოხდა გარკვეული სახელმძღვანელოების ჩამოტვირტვა და დისკზე განთავსება.*

დასტურდება:

- დირექტორის ბრძანებით N 01/05 21.04.2017 „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი";
- ბიბლიოთეკის წიგნების საინვენტარიზაციო კატალოგით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

2.3. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

შეფასება:

დაწესებულებას სასწავლო პროცესისათვის აქვს განკუთვნილი 20 პერსონალური კომპიუტერი, აქედან 4 ადმინისტრაციის განკარგულებაშია, 16 განკუთვნილია სტუდენტებისთვის. ასევე დაწესებულებას აქვს 1 პროექტორი, 1 ტელევიზორი, 1 ფერადი პრინტერი, 3 პრინტერი, ფოტოაპარატი. ბუღალტრის პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის კომპიუტერებზე დაინსტალირებულია სასწავლო პროგრამა: „ორისის" დემო ვერსია. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტის ქსელში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

**დასტურდება:**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- მიღება-ჩაბარების და ჩუქების აქტებით;
- დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №01/12. 28.04.2017 წ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განაწილების შესახებ.
- ხელშეკრულებით ინტერნეტ-მომსახურების შესახებ

**2.4. <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

დაწესებულებაში შემუშავებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N 01/01, 19.04.2017 სადაც გაწერილია დოკუმენტების დამუშავების, აღრიცხვისა და შენახვის წესები. წესის შესაბამისად დოკუმენტები აღწერილია სათანადო ჟურნალში. დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. არის შემოსული და გასული დოკუმენტაციის, ბრძანებების, ხელშეკრულებების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ჟურნალები, სულ 12 ჟურნალი, რომლებიც გადანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია ბეჭდით.

დასტურდება:

- დირექტორის ბრძანებით N 01/01, 19.04.2017 დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესით;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით;

**2.5. <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

ა) ხანძარსაწინააღმდეგებო უსაფრთხოების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დირექტორის ბრძანებით №01/05. 21.04.2017 წ, დაწესებულებაში საევაკუაციო გეგმის მიხედვით განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; შემოწმდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ვარგისიანობის ვადა.

ბ) თვალსაჩინოდ, შენობის მეორე სართულის დერეფანში 2 ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც შედგენილია სპეციალური სამსახურის მიერ;

გ) დაწესებულებაში არის აუცილებელი მედიკანტებით აღჭურვილი სამედიცონო კაბინეტი. სამედიცინო დახმარება ხორციელდება სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების შესაბამისად. ექთანთან გაფორმებულია ხელშეკრულება; ვიზიტის განმავლობაში გამოიცა ბრძანება სამედიცინო მედიკამენტების ვადების კონტროლთან დაკავშირებით

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოდგენილია დაცვის სამსახურის სახით. ასევე წესრიგს დაწესებულებაში უზრუნველყოფენ მასწავლებლები, მორიგეობის ცხრილის მიხედვით.

დასტურდება:

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინაარმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძანება №01/05. 21.04.2017 წ.).
- დაცვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება №08/09. 24.04.2017 წ.
- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულებით №08/08. 24.04.2017 წ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

________________

________________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ________________

ბ.ა.

- დამტკიცებული ევაკუაციის გეგმით -ბრძანება №01/10. 26.04.2017 წ.
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები ბრძანება №01/05. 21.04.2017 წ;
- დანართი 2 - დირექტორის ბრძანებით N01/21 11.08.2017 სამედიცინო მედიკამენტების ვადების კონტროლთან დაკავშირებით
- ვიზუალური დათვალიერებით.

<u>2.6 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

შეფასება:

დაწესებულებაში პირველ სართულზე შესასვლ კართან მოწყობილია პანდუსი, ასევე კიბეებზე, მეორე სართულზე გადასაადგილებლად დამაგრებულია ასაკეცი რკინის პანდუსები, თუმცა სპეციალური საჭიროების მქონე პირს დამოუკიდებლად გადაადგილება გაუჭირდება. დაწესებულებას 2017 წლის 28.04 გამოცემული აქვს ბრძანბა N01/13, რომლის მიხედვით გამოყოფილია პირი, რომელიც დაეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებს გადაადგილებაში. სსსმ პირისთვის განკუთვნილი ერთი სველი წერტილი დაწესებულების ეზოშია, სველი წერტილით სარგებლობისთვის სსსმ პირს უწევს მეორე სართულიდან პანდუსის დახმარებით პირველ სართულზე გადაადგილება, შემდეგ პირველი სართულის დერეფნის გავლით, სადაც სხვა ობიექტებია განთავსებული, პანდუსის დახმარებით ეზოში გასვლა და 2-3 მეტრის გადაადგილება სველ წერტილამდე. სსსმ პირისთვის გათვლილ სველ წერტილში ეტლით მოსარგებლე შეძლებს გადაადგილებას, არის საკმარისი სივრცე ამისთვის.

<u>*ექსპერტების რეკომენდაცია: სველი წერტილების მეორე სართულზე განთავსების.*</u>

დასტურდება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

- დირექტორის ბრძანებით N01/13, 28.04.2017 შპს საზოგადოებრივ კოლეჯში ზუგდიდის აკადემია შშმ პირთა სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობის მიზნით დაწესებულების შენობაში შეღწევის, გადაადგილების დახმარებისთვის
- ვიზუალური დათვალიერებით;

<u>2.7. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

შეფასება:

დაწესებულების ვებ-გვერდია: http://www.akademiazug.ge. ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია დაწესებულების სტრუქტურა, მისია, წესდება, დებულება, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, საქმისწარმოების წესი, შრომის შინაგანაწესი, წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კითხვარები ადმინისტრაციისთვის, სტუდენტებისთვის, მასწავლებლებისთვის , საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემა, სტრატეგიული გეგმები ერთწლიანი, ექვსწლიანი.

დასტურდება:

- ვებ-გვერდით http://www.akademiazug.ge

<u>2.8. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

დაწესებულებას აქვს სტრატეგიული განვითარების სამოქმედო ექვსწლიანი გეგმა და ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა. ორივე დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. ექვსწლიანი გეგმაში გაწერილია დაწესებულების განვითარების სტრატეგია: ასევე გამოკვეთილია სტრატეგიული მიზნები: ავტორიზაციის სტატუსის მოპოვება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სტუდენტების განვითარებაზე ზრუნვა, პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება. ჩარჩო დოკუმენტზე დაფუძნებული პროფესიული პროგრამების დამატება ყოველწლიურად, მატერიალური რესურსის განახლება.

**დასტურდება:**

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების განვითარების ერთწლიანი 2017 წლის სამოქმედო გეგმა (ბრძანება №01/06. 24.04.2017 წ.)
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა (ბრძანება №01/06. 24.04.2017 წ.)
- ინტერვიუირებით.

<u>**2.9. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**</u>

**3. ადამიანური რესურსი**

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

შეფასება:

წარმოდგენილი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 10 ადმინისტრაციის თანამშრომელი 31 მასწავლებელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
----------------------
----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

ადმინისტრაციის 2 წარმომადგენელი პარალელურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ვიზიტის დროს გადამოწმდა მათი პირადი საქმეები და დაწესებულების მიერ მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

დასტურდება:

- პირადი საქმეებით;
- საშტატო განრიგით;
- შრომითი ხელშეკრულებებით.

**3.1. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

შეფასება:

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ადგილების რაოდენობა პროგრამების მიხედვით და შესაბამისად პროგრამის განმახორცილებელი პედაგოგების რაოდენობა შემდეგ შესაბამისობაშია:

| **პროგრამის დასახელება** | **საფეხური** | **სტუდენტების რაოდენობა** | **პედაგოგების რაოდენობა** |
|---|---|---|---|
| ოფისის მენეჯერი | IV | 20 | 13 |
| ბუღალტერი | III | 34 | 7 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.

| | | | |
|---|---|---|---|
| ექთნის თანაშემწე | III | 34 | 9 |
| მასაჟისტი | III | 32 | 10 |
| ფარმაცევტის თანაშემწე, | V | 30 | 10 |

დასტურდება:

- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- მასწავლებლებთან გასაუბრებით.
- დირექტორის 28.04.2017 წლის 01/14 ბრძანებით პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ.

<u>3.2.ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

**3.3** დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

შეფასება:

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობაა 0/31

**3.4** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

პროფესიული მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დამტკიცებული შრომის შინაგანაწესის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**დასტურდება:**

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესი (ბრძანება №01/03. 20. 04. 2017 წ.)
- განცხადებები, პირადი საქმეები, შრომითი ხელშეკრულებები

**3.4 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

IV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 4 ფურცელი

- დანართი 1 - დაწესებულების დირექტორის წერილი -ახსნა განმარტება
- დანართი 2 - დირექტორის ბრძანება N01/21 11.08.2017 სამედიცინო მედიკამენტების ვადების კონტროლთან დაკავშირებით

ქ. ზუგდიდი 11.08.2017

(შევსების ადგილი) თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------

--------------------------

--------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________

ბ.ა.